სსკგ-ის თავმჯდომარე ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ დანიელს შეხვდა

სსკგ კომუნიკაციის სამსახური, 23.11.2024. 22 ნოემბერს, სოფიაში, ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის შენობაში, გაიმართა შეხვედრა ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ დანიელსა და მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: ველიკოტირნოვოს მიტროპოლიტი გრიგოლი; ლოვჩანის მიტროპოლიტი გაბრიელი; ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მთავარი მდივანი, მელნიშის ეპისკოპოსი გერასიმე; მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი, დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილე, დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წარმომადგენელი ბულგარეთის პატრიარქთან, სოფიაში საპატრიარქოს მეტოქიონის წინამძღვარი, დეკანოზი ვლადიმერ ტიშჩუკი; სსკგ-ის თავმჯდომარის თანაშემწე, მღვდელი ალექსანდრე ერშოვი.

ბულგარეთის ეკლესიის წინამძღვარი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და სიხარული გამოთქვა სოფიაში ალექსანდრე ნეველის სახ. პატრიარქის საკათედრო ტაძრის კურთხევის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დღეებში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების სტუმრობით.

თავის მხრივ, მიტროპოლიტმა ანტონიმ გულითადი მადლობა გადაუხადა უწმინდეს მეუფეს მიწვევისა და ზეიმში მონაწილეობის შესაძლებლობისთვის და აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი ბულგარეთისა და რუსეთის ეკლესიების ერთობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდეს პატრიარქ კირილესგან მისალმება გადასცა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორი მოძმე მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, ასევე გაცვალეს აზრები მსოფლიო მართლმადიდებლობაში არსებულ მდგომარეობაზე, კერძოდ, იმ დევნაზე, რასაც უკრაინაში კანონიკური ეკლესია განიცდის.

შეხვედრის დასასრულს მიტროპოლიტმა ანტონიმ ბულგარეთის ეკლესიის წინამძღვარს მიართვა ორი პანაღიისგან შემდგარი კომპლექტი და სამკერდე ჯვარი, ასევე, ტრაპეზის ჯვარი ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძრისთვის.

უწმინდესმა პატრიარქმა დანიელმა მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას საიუბილეო მედლების ნაკრები გადასცა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92538/